Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

მაისი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის აპრილში 141.6%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 86.8%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 140.4%-ით გაიზარდა (2021/2020) და 85.0%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 182.2%-ით გაიზარდა (2021/2020) და 78.2%-ით შემცირდა (2021/2019).
- 2021 წლის აპრილში ისრაელიდან ვიზიტორთა რაოდენობამ 2019 წლის 70% შეადგინა, ხოლო მათი წილი მთლიან ვიზიტორებში 12.2% იყო.
- 2019 წელს ოთხი მეზობელი ქვეყნიდან ვიზიტორების წილი მთლიან ვიზიტორებში 71%-ს შეადგენდა. 2021 წლის 23 მაისისთვის არც ერთ მათგანში არ აცრილა მოსახლეობის 20%-ზე მეტი.
- ქვეყნები, რომლებიც გამოირჩევიან ვაქცინაციის მაღალი დონით, არიან ისრაელი (მოსახლეობის 63%), არაბთა გაერთიანებული საამიროები (61%), გაერთიანებული სამეფო (56%), უნგრეთი (52%), ამერიკის შეერთებული შტატები (49%) და ფინეთი (41%). ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში, ასევე, ვაქცინაციის დონე 30-40%-ს შეადგენს.
- 2021 წლის მაისში სასტუმროების ფასების ინდექსი 2.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო აჭარაში ფასების 27.4%-ით შემცირებით.

ვაქცინაციის ტენდენციები საქართველოს ტურიზმის ძირითად ბაზრებზე

2021 წლის აპრილში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ პანდემიის დაწყებიდან ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. გარდა ამისა, გამოიკვეთა მრავალი ფაქტორი, რომელიც ტურიზმისთვის პოზიტიურ მოლოდინებს აჩენს: კომენდანტის საათის შეზღუდვის შემსუბუქება საღამოს 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე, ტურიზმის სექტორისთვის სპეციალური ვაქცინაციის პროგრამის დაწყება, შაბათ-კვირას რესტორნების ფუნქციონირების განახლება, სხვადასხვა ძველი და ახალი საჰაერო მარშრუტების დანიშვნა და საბოლოოდ, 1 ივნისიდან სახმელეთო საზღვრების გახსნა. ამრიგად, 2021 წელს ტურიზმის აღდგენის მოლოდინი უფრო პოზიტიურია, ვიდრე წლის დასაწყისში. თუმცა, რადგან ქვეყანაში შემოსვლის მოთხოვნები მოიცავს სრულ ვაქცინაციას ან უარყოფით PCR ტესტს, ტურიზმის პრე-პანდემიური მასშტაბის ნახევრის აღდგენაც კი ნაკლებად სავარაუდოა. ამ გამოცემაში მიმოვიხილავთ ვიზიტორთა რაოდენობის პერსპექტივას 2021 წელს, საქართველოსთვის ტურიზმის ძირითად ბაზრებზე ვაქცინირებული ადამიანების რაოდენობის ანალიზის საფუძველზე.

2019 წელს საქართველოში ვიზიტორთა 71% ოთხი უშუალო მეზობელი ქვეყნიდან იყო: აზერბაიჯანი (19.8%), რუსეთი (19%), სომხეთი (17.7%) და თურქეთი (15.0%). 2021 წლის 23 მაისის მდგომარეობით, ოთხივე ქვეყნიდან არც ერთში არ აცრილა მოსახლეობის 20%-ზე მეტი (თურქეთი ყველაზე ახლოსაა ამ მაჩვენებელთან 19%-ით). იმ ქვეყნების წილი, სადაც ამჟამად მოსახლეობის 20%-ზე მეტია აცრილი, 2019 წლის საქართველოს ვიზიტორებში მხოლოდ 10.5%-ს შეადგენდა.

ქვეყნები, რომლებიც ძირითად ბაზრებს შორის ვაქცინაციის დონით გამოირჩევიან მოიცავს ისრაელს (ვაქცინირებულია მოსახლეობის 63%), გაერთიანებულ სამეფოს (56%) და შეერთებულ შტატებს (49%), ასევე, გერმანიას (40%) და პოლონეთს (34%). ევროკავშირის სხვა ქვეყნების უმეტესობამ მოახერხა თავიანთი მოსახლეობის დაახლოებით 30-40%-ის აცრა.

ტოპ ქვეყნები საქართველოში 2019 წელს მთლიან ვიზიტორებში წილის მიხედვით, და ამ ქვეყნებში ვაქცინირებული ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი მოსახლეობასთან მიმართებით, 2021 წლის 23 მაისის მდგომარეობით



წყარო: ourworldindata.com, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია, ავტორის გამოთვლები

2021 წლის აპრილში ვიზიტორთა სტრუქტურის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ვიზიტორების 12.2% ისრაელიდან იყო. ეს მაჩვენებელი 2019 წელს მხოლოდ 2.7% იყო. უფრო მეტიც, 2021 წლის აპრილში, ისრაელიდან ვიზიტორთა რაოდენობა, 2019 წლის აპრილთან შედარებით, მხოლოდ 29.6%-ით შემცირდა, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნიდან პანდემიამდელი დონის 70% უკვე აღდგა. მოსალოდნელია, რომ ისრაელი შეინარჩუნებს მსგავს მაღალ მაჩვენებლებს ვიზიტორების წილის თვალსაზრისით, სულ მცირე, 2021 წლის განმავლობაში. სხვა ქვეყნები, რომლებიც, ასევე, გამოირჩევიან ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებლით, და რომელთა მოკლევადიან პერიოდში სამიზნედ ამორჩევა შესაძლოა გამართლებული იყოს, მოიცავს არაბთა გაერთიანებული საამიროებს (61% **), უნგრეთს (52%), ბაჰრეინს (52%), ფინეთს (41%) და კვიპროსს (41%).

* ზოგიერთ ქვეყანაში 23 მაისის მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი, ამიტომ სანაცვლოდ 22, 21 ან 20 მაისის მონაცემები იქნა გამოყენებული.
** ზოგიერთ ქვეყანაში (გრაფიკზე მითითებულია ვარსკვლავით), ვაქცინირებული მოსახლეობის რიცხვი შეფასებულია ვაქცინის გამოყენებული დოზების საფუძველზე.

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 მაი/ 2021 აპრ	2021 მაი/ 2019 მაი	2021 მაი/ 2021 აპრ	2021 მაი/ 2019 მაი	2021 მაი/ 2021 აპრ	2021 მაი/ 2019 მაი
კახეთი	2.4%	10.1%	3.3%	12.1%	2.2%	9.6%
იმერეთი	-0.9%	5.7%	-0.7%	11.6%	-1.1%	0.6%
გურია	6.5%	11.4%	8.8%	19.1%	0.0%	-2.5%
ქვემო ქართლი	3.4%	44.0%	0.0%	6.7%	10.5%	-
აჭარა	10.4%	-27.4%	12.9%	-24.3%	4.8%	-33.8%
რაჭა	0.0%	14.0%	-	-	0.0%	14.0%
შიდა ქართლი	17.6%	10.8%	10.9%	11.3%	40.0%	10.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.4%	12.9%	0.0%	22.1%	0.7%	8.0%
სამცხე-ჯავახეთი	3.0%	9.8%	4.7%	-1.0%	1.0%	21.8%
მცხეთა-მთიანეთი	-0.9%	-3.2%	-5.4%	-1.8%	4.7%	-4.2%
თბილისი	7.7%	4.1%	6.4%	5.2%	14.4%	-1.8%
სულ ფასების % ცვლილება	6.8%	-2.3%	6.4%	-1.8%	9.0%	-5.5%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 წლის მაისში, 2021 წლის აპრილის ფასებთან შედარებით და 2019 წლის მაისის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის მაისში, 2021 წლის აპრილთან შედარებით, 6.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 6.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9.0%-ით გაიზარდა.

2021 წლის მაისში, 2019 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.3%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.8%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.5%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] 132 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 246 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მაისში 82 ლარი შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მაისში 402 ლარი შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 600 ლარი შეადგინა, თბილისში - 509 ლარი, კახეთში - 432 ლარი, ხოლო აჭარაში - 391 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	II 2019	III 2019	IV 2019	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021
1	1800	537.4	697	564.2	2 223	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	-
2	8679.5	2244.8	3375.1	2120.4	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7
3	4756.8	1245	1863.6	1089.7	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087	133.6
4	3222.1	877.6	1126.8	685.8	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	129.2
5	524.7	167.9	181.6	176.2	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	–
6	82.3	19.7	36.1	6.6	120.2	15.7*	3.0*	7.9*	-247.4*	-221.5*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.